ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 12 აგვისტო, 2019 №189 (8143) ფასი: 60 თეთრი

მოსკოვში საპროტესტო მიტინგში 50.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა

გვ.2

„ბოკერიასთვის ხელისუფლების გადაბარება გახარიამ და ღარიბაშვილმა ჩაშალეს“

სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი ივანიშვილს ამერიკით ემუქრებოდა“

გვ.4

„ნიკა გვარამიას რუსთავი 2-ში 4 მილიონი ლარი ხელფასი აქვს აღებული“

რატომ მოითხოვა პროკურატურამ 80.000 ლარი გირაო

გვარამია შეფარდებული 40.000 ლარი გირაოს გადახდას არ აპირებს

გვ.2

„ოცნება“ ძველ რეიტინგს ვერასოდეს დაიბრუნებს!“

სოსო ცინცაძე: „სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯია რჩება“

გვ.3

თამარ ჩხეიძე: „სტრასბურის კოლეგია რუსეთის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“

გვ.3

„გირაოთი გამოშვებული ბეჟან ლორთქიფანიძე წმინდა წყლის სინდისის პატიმარი იყო“

„თავდაცვის სამინისტროში ტენდერებზე სასწაულები ხდება“

გვ.4

სამართალი გვ.5

ანა ნაცვლიშვილი: „მელიას საქმეზე პროკურატურის წერილში არარსებული საქმეა მოყვანილი“

„სტაჟიორი მაინც არ გყავდათ, რომ დაგევალებინათ თვალის გადავლება?“

ბეჟან ლორთქიფანიძე ციხიდან გამოუშვეს

პოლიციამ ბათუმში 31 წლის ქალისგან ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

ISSN 1987-9385

5 გორში საფეხბურთო მატჩზე 40 წლის ქალი გარდაიცვალა

6 რუსეთში 8 აგვისტოს ბირთვული კატასტროფა მოხდა?

5 იმერეთში პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

3 ქუთაისის ციხეში ისრაელის მოქალაქე გარდაიცვალა

„ნიკა გვარამიას რუსთავი 2-ში 4 მილიონი ლარი ხელფასი აქვს აღებული“

გვარამია შეფარდებული 40.000 ლარი გირაოს გადახდას არ აპირებს

10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე დაიწყო და 11 აგვისტოს, დილის 1 საათამდე გაგრძელდა პროცესი საქალაქო სასამართლოში, რომელმაც ნიკა გვარამიასთვის აღკვეთის ღონისძიების შესახებ იმსჯელა.

სხდომის მოსამართლე გიორგი კერატიშვილი იყო.

– მე მოვედი გუშინ განსხვავებული შარვლით და დღეს ზუსტად ეგეთია საქართველოს პროკურატურა, – ეს განცხადება ნიკა გვარამიამ საქალაქო სასამართლოსთან მისვლის შემდეგ გააკეთა.

მანვე აღნიშნა, რომ გირაოს თანხას არ გადაიხდის.

პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით 80 ათასი ლარის გადახდა და უწყების გაფრთხილების გარეშე ქვეყნის დატოვების აკრძალვა მოითხოვა.

რატომ მოითხოვა პროკურატურამ 80.000 ლარი გირაო

სხდომაზე პროკურორმა გირაოს შეფარდების მოთხოვნის საფუძველი განმარტა.

მისი თქმით, გვარამიას საქართველოს საზღვარი 25-ჯერ აქვს გადაკვეთილი. მას საზღვარგარეთ სანაცნობო წრე ჰყავს და, შესაძლოა, ის მიიმალოს.

ასევე, რუსთავი 2-ში მუშაობისას გვარამიამ ხელფასის სახით 4 მილიონი ლარი აიღო, მიმდინარე წელს კი – 300.000 ლარზე მეტი. ასევე, ნიკა გვარამია თბილისში, ვაკეში საცხოვრებელ ფართსა და აგარაკს ფლობს.

სასამართლო პროცესზე გვარამიამ პროკურორების აცილება მოითხოვა.

– ბრალდების მხარის წარმომადგენლები აგრესიულები არიან. პროკურორებს არ სურთ სიმართლის დადგენა და მათ დავალების შესრულება უნდათ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

საბოლოოდ მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა ნიკა გვარამიას განუსაზღვრა 40.000 ლარის ოდენობის გირაოს გადახდა.

ასევე მას დაევალა, არ დატოვოს საქართველო პროკურატურის ნებართვის გარეშე.

სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ნიკა გვარამიამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გირაოს არ გადაიხდის.

მას გირაოს თანხის შესატანად 1 თვის ვადა აქვს. თუ ამ დროის განმავლობაში გვარამია 40.000 ლარს არ გადაიხდის, პროკურატურას შეუძლია, სასამართლოს აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიების მოთხოვნით მიმართოს.

გუშინ, 11 აგვისტოს, ნიკა გვარამიას ადვოკატ დიტო საძაგლიშვილს საქალაქო სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდა.

ადვოკატმა „ინტერპრესნიუსს“ უთხრა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში გეგმავს და ამისთვის მას კანონმდებლობით განსაზღვრული 48 საათი აქვს.

– ვაპირებთ გასაჩივრებას. არ ველოდებით, რომ სააპელაციო სასამართლო ძირეულად განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმცა ფორმალურად ჩვენ მაინც დაცვის ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, – განაცხადა ადვოკატმა.

საძაგლიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი კლიენტი გირაოს თანხის გადახდას არ აპირებს.

მოსკოვში საპროტესტო მიტინგში 50.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა

10 აგვისტოს მოსკოვში გამართულ მიტინგში მონაწილეობა თითქმის 50 ათასმა ადამიანმა მიიღო.

სანქცირებული აქციის დრო 16:00 საათზე ამოიწურა. ამ დროისთვის 3 გამომსვლელი რჩებოდა. აქციის დროის ამოწურვიდან 20 წუთის შემდეგ, პოლიციამ მიტინგის სცენასთან ახლოს ხალხის დაკავება დაიწყო. მათ შორის დააკავეს არარეგისტრირებული კანდიდატის, ნავალნის „კორუფციასთან ბრძოლის ფონდის“ დირექტორ ივან ჟდანოვის შტაბის უფროსი ბორის ზოლოტარევსკი.

ამასთან, სამართალდამცავებმა მომიტინგეები გააფრთხილეს, რომ აქციის შემდეგ მსვლელობა უკანონო იყო და მათ, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაკისრებოდათ.

პარალელურად, სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე აქციაზე 50 ადამიანი დააკავეს.

ეს რუსეთის დედაქალაქში ყველაზე დიდი საპროტესტო აქციაა, რაც ამ ზაფხულის განმავლობაში გაიმართა.

აქციაზე 10-ზე მეტი მოზარდი დაიკავეს. ამის შესახებ მოსკოვში ბავშვთა უფლებების საქმეთა რწმუნებულმა ევგენი ბუნიმოვიჩმა განაცხადა.

– დაკავებულია ათზე მეტი არასრულწლოვანი, მაგრამ ზუსტი რაოდენობა ჯერ უცნობია, – განაცხადა ბუნიმოვიჩმა.

მისივე თქმით, დაკავებულ არასრულწლოვანთაგან უმეტესობა უკვე გაათავისუფლეს.

ომალოში ირანელი ტურისტი გადაარჩინეს

ომალოში ირანელი ტურისტი დაშავდა. მაშველებმა მისი დახმარება შეძლეს. შემთხვევა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუმელაურთაში მოხდა.

30 წლის ტურისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მაშველებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის გამოყენებით შეძლეს.

„ექიმების განმარტებით, 30 წლის ირანის მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე და დაშავებულის სახმელეთო ტრანსპორტირება, საფრთხეს შეუქმნიდა მის სიცოცხლეს. ტრავმების სიმძიმის, რთული რელიეფის და დიდი მანძილის გამო, სამაშველო ოპერაციაში ჩაერთო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი“, – აღნიშნული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ირანელი ტურისტი მკურნალობას ამჟამად უკვე თბილისში გადის.

ლევან ბერძენიშვილი ნავთლუღის მაღაზიიდან გამოაგდეს

ლევან ბერძენიშვილს ნავთლუღის ერთ-ერთ მაღაზიაში არ მოემსახურნენ და მაღაზიიდან გააძევეს.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ნავთლუღში, აგროსერვისის მაღაზიაში გამყიდველმა თუ მეპატრონემ ლოკოკინებთან საბრძოლველი ქიმიკატი არ მომყიდა, თქვენისთანა ნაძირლებს არ ვემსახურებიო. მოსალოცად გაქვთ საქმე, ამხ. ქოცებო!“

ამერიკელი მილიარდერი ჯეფრი ეპსტეინი მანჰეტენის ციხეში ჩამომხრჩვალი იპოვეს



ამერიკელმა მილიარდერმა, ფინანსისტმა ჯეფრი ეპსტეინმა, რომელსაც ბრალად ედებოდა სექსუალური ხასიათის დანაშაულები, თავი მოიკლა.

ეს 10 აგვისტოს, დილით მოხდა.

მილიარდერმა თავი მანჰეტენის ციხეში მოიკლა – მან თავი ჩამოიხრჩო.

მისი ცხედარი დილას, ნიუ იორკის დროით 6:30-ზე იპოვეს.

66 წლის ეპსტეინმა თავის მოკვლა ადრეც ცადა. 23 ივლისს ის მანჰეტენის ციხეში უგონო მდგომარეობაში იპოვეს, ყელზე თვითდაზიანების ნიშნებით. მაშინ მისი გადარჩენა მოხერხდა, რის შემდეგაც ეპსტეინს, როგორც პოტენციურ თვითმკვლელს, სპეციალური მეთვალყურეობა დაუნიშნეს.

10 აგვისტოს ის ამ მეთვალყურეობის გარეშე დარჩა და თავი მოიკლა.

ინციდენტს გფბ იძიებს.

ეპსტეინი ივლისში დააკავეს. მას ბრალად ედებოდა 2000-იანი წლების დასაწყისში გოგონების სექსმომსახურებით ვაჭრობა ნიუ იორკსა და ფლორიდაში.

ეპსტეინი ყველა ბრალდებას უარყოფდა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 45-წლიანი პატიმრობა ელოდა.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

10 აგვისტოს საქართველოში მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან დაფიქსირდა.

სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრემ 5.1 მაგნიტუდას მიაღწია.

მიწისქვეშა ბიძგები თბილისშიც იგრძნობოდა.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, არანაირი შეტყობინება მოქალაქეების მხრიდან არ დაფიქსირებულა.

– ზუსტად ის ეპიცენტრული ზონაა, სადაც 2012 წელს დაიწყო ინტენსიური მიწისძვრები. კავკასიონს ეს ახასიათებს, – განაცხადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა, თეა გოდოლაძემ.

მორიგე სეისმოლოგმა ლევან გოგუამ კი თქვა, რომ მიწისძვრის შემდეგ აფთერშოკები იყო მოსალოდნელი.

მისი ნათქვამი გამართლდა.

11 აგვისტოს, დილის 3 საათსა და 30 წუთზე, აზერბაიჯანის საზღვართან, საქართველოდან 22 კილომეტრში, 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა.

აღმოსავლეთ საქართველოში წვიმაა მოსალოდნელი, დასავლეთ საქართველოში კი — დათბობა

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ხოლო დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდი იქნება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განუცხადა.

– დასავლეთ საქართველოში გამოიდარებს, ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს. 12 აგვისტოდან მოსალოდნელია +35 გრადუსამდე, სანაპირო რაიონებში +32 გრადუსამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერი +34 გრადუსამდე გათბება.

თბილისში 12 აგვისტოს უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი. დღის ტემპერატურა იქნება +30 გრადუსი.

13 აგვისტოს ასევე მოსალოდნელია უნალექო ამინდი და აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში, ჰაერი +31 გრადუსამდე გათბება. უნალექო ამინდი იქნება 14 აგვისტოსაც, ტემპერატურა +33 გრადუსამდე მოიმატებს, იქროლებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში, – განაცხადა ნინო წვერავამ.

ახალი ამბები

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ძველ რეიტინგს ვერასოდეს დაიბრუნებს!“

სოსო ცინცაძე: „სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებთ, რომ ქვეყანა გულივერის ნაბიჯებით სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიეექანება. შეიძლება. ასე დაიძაბოს ვითარება?

– რასაკვირველია, როდესაც ასეა გახლეჩილი საზოგადოება, როდესაც ასეთი დაპირისპირებაა პოლიტიკურ ძალებს შორის, სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. ძალიან მძიმე რეალობის წინაშე ვართ. თითქოს ამას ხელისუფლება ვერც კი აცნობიერებს. ეს ძალიან საშიშია.

მე არაერთხელ მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი. მეტიც, მას არ უყვარს პოლიტიკა. ეს დასაძრახისი სულაც არ არის, მაგრამ საშიშია ქვეყნისთვის. საშიშია იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კაცი მართავს ქვეყანას.

– მრჩევლები ხომ ჰყავს?

– მრჩევლებსაც გააჩნია. მე ვერ ვნახე ჭკვიანური, გონივრული რჩევა, რომელიც განმუხტავდა ვითარებას და თავის კალაპოტში დაბრუნებდა ხელისუფლებასაც და ქვეყანასაც. ახლა დაწყნარება, დამშვიდებაა საჭირო. ლამის წკიპზე ვართ. ლამის ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს ხელისუფლებამაც და ქვეყანამაც. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ქვეყნის მართვა.

ახლა ხელისუფლების მთავარი ამოცანა უნდა იყოს, როგორმე მშვიდად მიიყვანოს ქვეყანა არჩევნებამდე დანაკარგების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი წარმოუდგენლად უკან დახევს ქვეყანას.

– თქვენ მაინც რას უკავშირებთ ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს? 20 ივნისის შემდეგ თითქოს ინერციით მოქმედებს ხელისუფლება.

– ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ხალხის ნდობა დაკარგა და ეს ძალიან მძაფრად განიცადა. ამიტომ არის, რომ შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ამომრჩევლის ნდობის დაკარგვა ნიშნავს არჩევნებში დამარცხებას, რასაც ყველა ხელისუფლება განიცდის და, რასაკვირველია, განიცდის „ქართული ოცნებაც“. ამაში უცნაური არც არაფერია.

– ხელისუფლება მიხვდა, რომ შეიძლება, არჩევნები წააგოს?

– რა თქმა უნდა! თუმცა, ის შემოთავაზება, რაც გააკეთა ივანიშვილმა, იყო სწორი პოლიტიკური ნაბიჯი – საარჩევნო სისტემასა და ნულოვან ბარიერს ვგულისხმობ, მაგრამ აქაც ბევრი ნიუანსია გასაანალიზებელი, რა როგორ იქნება შემდეგში, ასე მარტივიც არ არის.

პოლიტიკურ კრიზისს ეკონომიკური, სოციალური კრიზისი დაემატა. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ, რომ სოციალური კრიზისი არ არის, ფაქტი სახეზეა. შენ რაც არ უნდა უთხრა, კი, კარგად ცხოვრობ, მაგრამ ამას ვერ გრძნობ, ეს უკუშედეგებს გამოიღებს, ეს გამაღიზიანებელ ეფექტს ახდენს. ამას ვერ ხვდებიან ხელისუფლების წევრები. არადა, ეს ხომ ელემენტარულია.

ლარი გაუფასურდა. გვითხრეს, რომ წამლების ფასი სექტემბერ-ოქტომბერში გაიზრდებოდა, მაგრამ აფთიაქში მისულმა ადამიანმა აღმოაჩინა, რომ რამდენიმე თვეში კი არა, მეორე დღესვე გაიზარდა. ამ დროს ხელფასი არ იზრდება, პენსია არ იზრდება. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ეს დაავიწყდება არჩევნებზე მისულ, მაგალითად, პენსიონერს?! არა, ამიტომ ეს ყველაფერი ძვირი უჯდება თავად ხელისუფლებას და ეს იწვევს შემდეგ იმ შედეგებს, რაც არის.

„ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შეცდომა იყო სამართლიანობის აღდგენის დაპირება. დღეს ადამიანები კითხულობენ, კი მაგრამ, აღდგა კი სამართლიანობა?! რას გვპირდებოდნენ და რა მივიღეთ?!

ხომ გახსოვთ, როგორ შეიქმნა დეპარტამენტი პროკურატურაში, რომელსაც პროკურორი ნადარეიშვილი ხელმძღვანელობდა. მითხარით, იმ პრეზენტაციის შემდეგ რა გააკეთა ამ დეპარტამენტმა, რამდენი ქონება დააბრუნა, რამდენ ადამიანს გადაუწყვიტა პრობლემა?!

– მაშინ ეს თემა ყველაზე მოთხოვნადი იყო.

– კი, გასაგებია, მაგრამ სამართლიანობა მაინც ინდივიდუალურია. რთულია, სამართლიანობის განცდა ყველას ერთნაირი ჰქონდეს. ვიღაცისთვის ერთია, ვიღაცისთვის – მეორე. ჩემი აზრით, ბევრად უფრო სწორი იქნებოდა: „თანასწორობა კანონის წინაშე“, ასეთი დაპირება, ეს ლოზუნგი უნდა გამხდარიყო „ოცნების“ მთავარი სამოქმედო გეგმა, თანასწორობა, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროიდან მოდის.



– რა არის გამოსავალი?

– ტალეირანი, ბისმარკი, რიშელიე, დე გოლი – ყველა ერთად რომ გააცოცხლო და ყველამ ერთად რომ მისცეს ხელისუფლებას რჩევები, მაშინ შეიძლება კიდევ შემობრუნება, მაგრამ რჩევასაც უნდა შესრულება. თუმცა, იმდენად რთული სიტუაციაა, რომ რაც უნდა გააკეთოს, ხელისუფლებას მაინც გაუჭირდება იმის დაბრუნება, რაც იყო.

– რეიტინგს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა! ეს შეუძლებელი იქნება.

თამარ ჩხეიძე: „სტრასბურის კოლეგია რუსეთის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“

„გირაოთი გამოშვებული ბეჟან ლორთქიფანიძე წმინდა წყლის სინდისის პატიმარი იყო“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საბჭოთა დროის დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

თამარ ჩხეიძე:

– დიქტატურისა და ავტორიტარიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენები გრძელდება. ივანიშვილის რეჟიმი ემუქრება და უტევს ყველას, ვინც რაღაცაში ხელს უშლის.

პირველ რიგში, ესაა მედია, ბიზნესი და პოლიტიკური ოპონენტები. მუქარები ისმის ტვ პირველის მისამართით, შეუტიეს ნიკა გვარამიას. იგი ისჯება აქტიურობისათვის და ასოცირდება როგორც რუსთავი 2-თან, საიდანაც ის გაათავისუფლეს, ასევე ახალ ტელევიზიასთან, რომელიც უნდა შეიქმნას.

ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ერთდროულად ბევრ ფრონტზე იბრძვის და რეპრესიებს ახორციელებს. 1937 წელი არ არის, რომ ყველა არასასურველი ადამიანი მწკრივში დააყენონ და დახვრიტონ. ამის საშუალება ამ ეპოქაში არ არსებობს, თორემ ამასაც გააკეთებდნენ.

– ეს ყველაფერი არჩევნებს უკავშირდება?

– ძირითადად, 2020 წლის არჩევნებს. წინა არჩევნების დროს „ქართულმა ოცნებამ“, მოსყიდვის გარდა, სხვა აკრძალული მეთოდებიც გამოიყენა, საპრეზიდენტო არჩევნებში ძლივს გაიყვანა სასურველი კანდიდატი. ეს გამარჯვება მმართველ პარტიას ძალიან ძვირი დაუჯდა. მომავალი არჩევნებისთვის უნდათ, მაქსიმალურად გააუვნებელყონ ისინი, ვინც ამ ხალხს წინ ეღობება – თავისუფალი მედია იქნება ეს თუ ოპოზიცია. ოპოზიციონერებიდან ზოგს აჩერებენ, ზოგს აკავებენ, ბიზნესს ჩააგონებენ, რომ ოპოზიცია არ დააფინანსოს.

– ოპოზიციამ შეზღუდვად ჩათვალა ასევე ინიციატივები საარჩევნოდ ანტირეკლამის მაქსიმალურად შემცირებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ.

– ეს, მართლაც, შეზღუდვებია. ანტირეკლამის შემცირება იმას ნიშნავს, რომ სხვებმა ხელისუფლება და მმართველი პარტია არ უნდა აკრიტიკონ. სიძულვილის ენასაც ისეთ განმარტებას მისცემენ, როგორიც მოესურვებათ და ცენზურას დააწესებენ.

სიძულვილის ენა საერთოდ არ არის მისაღები, მაგრამ ამას ზოგადი კანონმდებლობა არეგულირებს და საარჩევნოდ ამაზე აქცენტირება საჭირო არ არის.

– ყველაფრის შეზღუდვასა და გაკონტროლებაზე გადასულმა ხელისუფლებამ როგორ დაუშვა, რომ მომავალი არჩევნები ბუნებრივი ბარიერითა და პროპორციული სისტემით გაიმართება?

– ოპოზიცია მოითხოვდა პროპორციულ არჩევნებს 2020 წელს. მმართველ პარტიას მაჟორიტარული სისტემის დათმობა მოუხდა. რაც შეეხება ბუნებრივ ბარიერს, ეს ივანიშვილმა პაკეტში მოაყოლა. თავისთავად, ნულოვანი ბარიერი დემოკრატიულია, მაგრამ ამ წინადადებას საფუძვლად არ უდევს დემოკრატიული მისწრაფებები. ივანიშვილის გათვლაა, აინაზღაუროს მაჟორიტარების დაკარგვით გამოწვეული ზარალი. ამას ის მოახერხებს პოლიტიკური ერთეულების ყიდვით.

– გათვლა იმაზეც არის, რომ ამ ერთეულებთან ერთად „ქართულმა ოცნებამ“ მომავალ პარლამენტში უმრავლესობაც ჩამოაყალიბოს?

– ამაზეც. ბუნებრივ ბარიერს „ქართული ოცნება“ ურთავს ბლოკების აკრძალვასაც, რაც მიმართულია ოპოზიციის წინააღმდეგ. ივანიშვილის გათვლით, ოპოზიცია საარჩევნოდ ვერ უნდა გაერთიანდეს.

– ქვეყანაში მიმდინარე არადემოკრატიულ პროცესებს თან დაერთო საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებისთვის ხელფას-პრემია-დანამატებზე თანხების არნახული ზრდა. „ოცნება“ ხალხს საპირისპიროს ჰპირდებოდა.

– ეს გასაკვირი არ არის. ჯერ ერთი, „ოცნებაში“ ხალხი ფასეულობებისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო არ შესულა. ამ ადამიანებს მხოლოდ მატერიალური ღირებულებები აღელვებთ. მეორეც, ესეც საარჩევნო პროცესის ნაწილია. ამ ორგანიზაციებში დასაქმებულები, ფაქტობრივად, პარტიული აქტივისტები არიან და მათ წახალისება სჭირდებათ.

ხელისუფლება სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ უფრო გათავხედდა. ამ ევროსასამართლოს რამდენიმეკაციანმა ჯგუფმა თუ კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ სასამართლოს არსს. მისი არსი ადამიანის უფლებები და სამართალია. ამ ადამიანებს უნდა შეესწავლათ ვითარება და განცხადებები, რომლებიც კეთდებოდა რუსთავი 2-ის თაობაზე. ხელისუფლება ამ არხს ღიად ემუქრებოდა.

გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო მინისტრ ლავროვის ღიად გამოხატული სურვილი რუსთავი 2-ის დახურვაზე. რუსეთი ყოვლისშემძლე არ არის, მაგრამ ეს სახელმწიფო ბევრი სტრუქტურის მუშაობაში, ასევე სხვა სახელმწიფოების არჩევნებში ერევა. მოსკოვისთვის რამდენიმე კაცის მოსყიდვა ან დაშინება პრობლემას არ წარმოადგენს.

ეს მაფიქრებინებს, რომ სტრასბურის კოლეგია რუსეთის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. იმედი მაქვს, რომ სამართალი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და სასამართლოს დიდი პალატა სწორ განაჩენს გამოიტანს რუსთავი 2-ზე. ამას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი ძალისხმევა საქართველოდან.

– დავუშვათ, ხელისუფლებამ დააწესა კონტროლი ყველა ტელევიზიაზე. ამით რა შეიცვლება? ხალხი ცხოვრებით კმაყოფილი გახდება?

– გრძელვადიან პერსპექტივაში მიზანი ვერ მიიღწევა. მოკლე ვადაში ამის განსაზღვრა რთულია. ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმები ხშირად მოკლე ვადაში ახერხებენ საწადელის მიღწევას. ყველაფერი დამოკიდებულია საპასუხო რეაქციაზე. ამიტომ აუცილებელია საზოგადოების აქტიურობა.

– ივნისში ხელისუფლებას საზოგადოების აქტიურობისა შეეშინდა.

– 20-21 ივნისის ღამეს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სისასტიკით გაუსწორდნენ ჩვენს მოქალაქეებს. ეს სისასტიკე, ასევე სხვა ავტორიტარული და ანტიდემოკრატიული ნაბიჯები, უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების პატრონი რუსეთის სურვილებს. პუტინმაც დაარბია ბოლო პერიოდში მიტინგები, მაგრამ ასეთი არაადამიანობა იმასაც კი არ გამოუჩენია.

მაკო გომურისათვის თვალის გამოთხრა და არაპოლიტიკოსი ბეჟან ლორთქიფანიძის დაკავება რუსეთის საამებლად მოწყობილი რეპრესიების მკაფიო ნიმუშია. ისინი სამოქალაქო აქტივობისთვის დაისაჯნენ.

კარგია, რომ ბეჟან ლორთქიფანიძეს აღკვეთის ღონისძიება შეუცვალეს და გამოუშვეს. საბჭოთა დროს, პოლიტპატიმრების გარდა, იყვნენ სინდისის პატიმრები. აკადემიური წრეების წარმომადგენელი ბეჟან ლორთქიფანიძე მარტო იმიტომ დააკავეს, რომ ქუჩაში წინ აღუდგა ძალადობას. იგი წმინდა წყლის სინდისის პატიმარი იყო.

არ ვამტკიცებ, რომ იმ ღამეს წესრიგი არავის დაურღვევია. ასეთებიც იყვნენ, მომიტინგეებში შეგზავნილები და პროვოკატორებიც იქნებოდნენ, მაგრამ დაკავებულებს შორის უდანაშაულოები კიდევ არიან.

ისინი უნდა გათავისუფლდნენ.

ქუთაისის ციხეში ისრაელის მოქალაქე გარდაიცვალა

ქუთაისის ციხეში პატიმარი გარდაიცვალა. „კურიერის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი 61 წლის ისრაელის მოქალაქეა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქეს, რომელიც პოლიციამ 3 აგვისტოს დააკავა, ისრაელში გაუპატიურების საქმეზე ჰქონდა ბრალი წაყენებული და დაწყებული იყო მისი საექსტრადიციო პროცედურები.

რამდენიმე დღის წინ ბათუმის სასამართლოში ის შეუძლოდ გახდა, თუმცა ექიმებს რაიმე პათოლოგია არ დაუფიქსირებიათ.

10 აგვისტოს, გამთენიისას, თანამესაკნემ მამაკაცი გარდაცვლილი ნახა.

მიმდინარეობს გამოძიება.

ავტობანზე მანქანა დაიწვა

ქართველ მძღოლს ინდოელი ტურისტები გადაჰყავდა

გუშინ, 11 აგვისტოს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მონაკვეთზე ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.

ამის გამო გადაკეტილი იყო მოძრაობა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით.

მანქანაში მსხდომმა ყველა ადამიანმა დროულად მოასწრო გადმოსვლა.

მძღოლი საქართველოს მოქალაქეა და მას ინდოელი ტურისტები გადაჰყავდა.

მოგვიანებით ცენტრალურ ავტომაგისტრალზე დასავლეთის მიმართულებით მოძრაობა აღდგა.

„საქართველოს ძლიერება მის მრავალფეროვნებაშია“

მამუკა ბახტაძემ მუსლიმებს ყურბან ბაირამი მიულოცა

– საქართველოს ძლიერება სწორედ მის მრავალფეროვნებასა და იმაშია, რომ განსაცდელის ჟამს ჩვენ ერთ მუშტად შეკრული ვდგავართ და სიხარულის დროს ვუზიარებთ ერთმანეთს სიხარულს.

ასე მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თბილისის ჯუმა მეჩეთში შეკრებილებს ყურბან ბაირამის დღესასწაული.

– დღევანდელი დღე არის იმედის, სიყვარულის, გაჭირვებულთა დახმარების დღე. ჩემთვის სასიხარულოა, რომ ჩვენს მოქალაქეებთან ერთად დღევანდელ დღესასწაულს ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩები აღნიშნავენ. მინდა, მათ მივესალმო და ყურბან ბაირამი მივულოცო.

მე ყოველთვის ვამბობდი და დღესაც, ამ დღესასწაულის აღნიშვნისას უნდა გავიმეორო, რომ საქართველოს ძლიერება არის მრავალფეროვნებაში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

„ბოკერიასთვის ხელისუფლების გადაბარება გახარიამ და ღარიბაშვილმა ჩაშალეს“

სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი ივანიშვილს ამერიკით ემუქრებოდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უკრძალავდა კვირიკაშვილი „ოცნებას“ რესპუბლიკელების კრიტიკას, როდის და რატომ დაემუქრა ყოფილი პრემიერი ივანიშვილს, რატომ ვერ იტანს მმართველი პარტიას გახარიასა და ღარიბაშვილს? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– თქვენ ბოლო პერიოდში ძალიან მწვავედ აკრიტიკებდით ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ, როდესაც ის ლევან ბერძენიშვილმა გააკრიტიკა, ერთი ამბავი ატეხეთ – რესპუბლიკელებს „ოცნების“ ლიდერის კრიტიკის უფლება არ აქვთო. რატომ არ აქვთ მათ ამის უფლება?

– რესპუბლიკური პარტია არის საქართველოს მოღალატეების გაერთიანება. დაახლოებით ისეთივე ორგანიზაციაა, როგორიც გასული საუკუნის 20-იან წლებში მოქმედი მებრძოლ უღმერთოთა კავშირი.

რესპუბლიკელები დიდად არც სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის შექმნილ საქართველოს კომუნისტურ პარტიას ჩამოუვარდებიან.

– ეს ბოლო შედარება ცოტა უადგილო ხომ არ არის – რესპუბლიკელები სულ კომუნისტებს ებრძოდნენ.

– მე ასე ვერ ვიტყოდი იმ პარტიაზე, რომელიც საქართველოს კაგებეს ხელმძღვანელმა, გენერალმა ინაურმა შექმნა. ეს არ არის ჩემი მოსაზრება. ამის შესახებ არაერთხელ გამიგია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასგან. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მთელი რიგი დოკუმენტები.

ახლა რაც შეეხება ივანიშვილთან რესპუბლიკელების ურთიერთობას – „ოცნების“ ლიდერმა ამ პარტიას მილიონი აჩუქა. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მკვდარი სულებით დაკომპლექტებულ რესპუბლიკურ პარტიას საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები მისცა.

თანამდებობებს უკან ვერ დააბრუნებენ, მაგრამ ის მილიონი დაუბრუნონ უკან ივანიშვილს – ის ხომ ასეთი ცუდია. არ შეიძლება, ადამიანები გამოიყენო და მერე მათ ბრძოლა დაუწყო.

ძალიან კარგად მახსოვს, ირაკლი ღარიბაშვილის შემდეგ პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი რომ გახდა. რომელსაც ივანიშვილი სამაგალითო პრემიერს უწოდებდა. მაშინ მე მინისტრის მოადგილე ვიყავი.

კვირიკაშვილთან მივიდნენ რესპუბლიკელები და პირდაპირ უთხრეს – ან ჩვენ, ან ბრეგაძეო. ეს პარტია მას შემდეგ გადამემტერა, რაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების ამბავი ჩავუგდე.

ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მათ მომზადებული ჰქონდათ კანონპროექტი ერთნაირსქესიანთა ქორწინების შესახებ. ამაზე ერთი ამბავი ავტეხე. კვირიკაშვილმა დამიბარა და ასეთი ულტიმატუმი წამიყენა – ან რესპუბლიკელებზე და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ხმა არ ამოიღო, ან ჩვენი გზები გაიყრებაო. დარწმუნებული ვარ, მას ეს ყველაფერი ივანიშვილთან ჰქონდა შეთანხმებული.

როგორც კი კვირიკაშვილმა ეს ულტიმატუმი წამიყენა, გადადგომის შესახებ დავწერე განცხადება და იმავე დღეს მივახალე პრემიერს ცხვირ-პირში.

სიმართლე გითხრათ, დღემდე ძალიან მწყდება გული, ერთ-ორს მუშტი რომ არ ვუთავაზე და არ მოვამტვრიე ყბა.

– ვისთვის გინდოდათ ყბის ჩამომტვრევა?

– რესპუბლიკელებისთვის. ისინი საქართველოს მოღალატეები არიან და ასეთ მოქცევას იმსახურებენ.

– ივანიშვილს რატომ უყვარდა ეს პარტია ასე?

– ვერ გეტყვით. როცა მთავრობაში ყოფნის დროს ამ კითხვას ვსვამდი, მეუბნებოდნენ, ეს პარტია „ოცნების“ ინტელექტუალური რესურსიაო.

– რესპუბლიკური პარტია მართლაც იყო „ოცნების“ ინტელექტუალური რესურსი.

– მე ვერ დაგეთანხმებით. ინტელექტუალური რესურსი – არა, მაგრამ მლიქვნელობის ამოუწურავი რესურსი კი ჰქონდა ამ პარტიას.

– ეს რით გამოიხატებოდა?

– ძმები ბერძენიშვილები ივანიშვილს ამოშავალ მზესა და ჩამავალ მთვარეს ადარებდნენ. თინა ხიდაშელმა „ოცნების“ ლიდერი სულაც პოლიტიკურ პელეს შეადარა.

– ზემოთ აღნიშნეთ, რომ კვირიკაშვილმა, როცა ის პრემიერი იყო, მოგთხოვათ, აღარ გეხსენებინათ რესპუბლიკელები. როგორც ამბობენ, ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში შემოდის და შემთხვევით რესპუბლიკელებთან ერთად ხომ არ ვიხილავთ?

– რესპუბლიკელებში ყოფილი პრემიერი არ შევა, მას უფრო ბანკირების პარტიაში ვიხილავთ. რეალურად სწორედ მის დროს აყვავდნენ ბანკირები და ააყვავეს მევახშეობა.

ის სინამდვილეში მხოლოდ ბანკირების პრემიერ-მინისტრი იყო. რაღაც პერიოდის შემდეგ ის ბიძინა ივანიშვილის კონტროლიდანაც გავიდა. წავიდა ამერიკაში და იქ ჩააწყო საქმეები, ეგონა, რომ ვაშინგტონში ისეთი მხარდაჭერა ექნებოდა, „ოცნების“ ლიდერი ვერასოდეს მოახერხებდა მის გადაყენებას.

ამასთან დაკავშირებით ერთ ექსკლუზივსაც გეტყვით – იმ შეხვედრაზე, სადაც კვირიკაშვილის პრემიერობიდან წასვლა-არწასვლის საკითხი წყდებოდა, ყოფილმა პრემიერმა პირდაპირ უთხრა ივანიშვილს, რომ შეუძლია დაარეკვინოს ამერიკიდან და ხელს ვერავინ ახლებს. სწორედ ეს სიტყვები გახდა მისთვის საკრალური და საბედისწერო.

ამ ადამიანის პრემიერად დანიშვნა იყო „ოცნების“ ლიდერის უდიდესი შეცდომა. მსგავსი შეცდომა მას არასდროს დაუშვია.

ყოფილ პრემიერთან პირველად ურთიერთობა ირაკლი ღარიბაშვილის გამო დამეძაბა. მან პირდაპირ თქვა ჩემზე, ეგ ირაკლის მეგობარიაო. ამაზე ვკითხე, ღარიბაშვილთან მეგობრობა რატომ არის დანაშაული, ის თქვენი მტერია-მეთქი? ამაზე ასეთი პასუხი მივიღე – დიახ, მტერია, ნაციონალებზე უფრო დიდი მტერი.

წარმოიდგინეთ, რა განწყობაა „ოცნების“ გუნდში, იქ მყოფი ადამიანები ერთმანეთს ვერ იტანენ. ერთმანეთი პოლიტიკურ ოპონენტებზე მეტად ეზიზღებათ.

ნახევარი „ოცნება“ დღესაც იმაზე ლოცულობს, რომ გიორგი გახარია შს მინისტრობიდან გადააყენონ.

– 20 ივნისის ღამის მერე ლოცულობენ ამაზე?

– არა, როგორც კი შს მინისტრად დაინიშნა, იმ დღიდან მოყოლებული ლოცულობენ. მეორე ნახევარი იმაზე ლოცულობს, რომ ღარიბაშვილი საერთოდ გაუშვან პარტიიდან.

– რა არის მიზეზი, რომ „ოცნებაში“ ამ ორ ადამიანს ასე ვერ იტანენ?

– თავისი მენტალიტეტით ორივე ძალიან განსხვავდება „ოცნების“ ე.წ. ახალი სახეებისგან. მათგან განსხვავებით, ღარიბაშვილმა და გახარიამ თავად შექმნეს საკუთარი თავი და გააჩნიათ პოლიტიკური რესურსი.

მათ ასევე შეუძლიათ საკუთარი პოლიტიკის გატარება. აი, რაც შეეხება არსაიდან მოსულ ე.წ. ახალ სახეებს, მათ რა პოლიტიკა უნდა გაატარონ, აქამდე მათი არსებობის შესახებ მეზობლებმაც კი არ იცოდნენ.

ხელისუფლება რომ ასეთი უღიმღამო ხალხით გაივსო, ეგ ყოფილი პრემიერის, კვირიკაშვილის, დამსახურებაა.

– კვირიკაშვილმა მოიყვანა ისინი „ოცნებაში“?

– უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ შეყარა. ეს ის ხალხია, რომლებსაც არც ერთხელ არ გაუპროტესტებიათ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი. იმ 9 წლის განმავლობაში უამრავი მიტინგი და აქცია გაიმართა. „ოცნების“ ახალი სახეებიდან ერთიც კი არ არის ამ მიტინგებზე ნამყოფი.

აქციებს ვინ ჩივის, ნაციონალებზე ერთი სიტყვაც კი არ დასცდენიათ ცუდი. ხშირ შემთხვევაში ისინი ადეიშვილის, სააკაშვილისა და მერაბიშვილის ხელისბიჭები და გოგოები იყვნენ. მათ სახელებსა და გვარებს ნუღარ ჩამომათვლევინებთ. ამაზე წინა ინტერვიუებში გვაქვს ნალაპარაკევი. მათი ხსენებაც კი მზარავს, იმდენად ამაზრზენები არიან ეს მედროვეები.

ასეთი ხალხი, ბუნებრივია, ვერ იტანს გახარიასა და ღარიბაშვილს, მიაჩნიათ, რომ ამ ორი ადამიანის წყალობით მათი ხელისუფლებაში ყოფნის დღეები დათვლილია. მინდა გითხრათ, რომ ამ შემთხვევაში ისინი არ ცდებიან.

– რას ნიშნავს არ ცდებიან?

– იმას, რომ პოლიტიკაში მათი ყოფნის დღეები მართლა დათვლილია. კვირიკაშვილის შეყრილი სახეები „ოცნებიდან“ უნდა წავიდნენ. ეს „ოცნების“ ლიდერმა უნდა გააკეთოს, მაგრამ ის რატომღაც არაფერს აკეთებს.

დღეს ივანიშვილიც და მისი გუნდიც ძალიან წყნარად არიან, რითიც ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ. ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ საპროტესტო განწყობა გაქრა. რუსთაველზე მიმდინარე აქციებზე მდგომი 30 კაცი არაფერს ნიშნავს. შემოდგომაზე მათი რაოდენობა გაასმაგდება.

საპროტესტო ტალღა ახალი ძალით იფეთქებს და როგორც ახლა, არც მაშინ ექნება ამ პროტესტს საერთო ანტისაოკუპაციო მოძრაობასთან. ეს პროტესტი მარტო ერთ რამისკენ არის მიმართული – საქართველოში მიხეილ სააკაშვილი უნდა დააბრუნონ.

სხვათა შორის, ახლა ძალიან დიდი და სერიოზული ბრძოლა მიდის ამ აქციების ორგანიზატორების გადაბირებაზე.

– ხელისუფლება ჩალიჩობს ამაზე?

– არა, ბოკერია თავისკენ ექაჩება ამ ახალგაზრდებს, სააკაშვილი – თავისკენ. ისეთი ბრძოლა ატყდება, რომ ჩერგოლეიშვილს მანდილის ჩაგდება მოუწევს შუაში.

მე რამდენიმე თვის წინ მოგახსენეთ იმ სქემის თაობაზე, რომელიც ივანიშვილს ამერიკელებმა დაუდეს და, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება ბოკერიასთვის უნდა გადაებარებინა „ოცნებას“.

ბოლო დროს საქართველოში პროცესები ამ სქემით მიდიოდა. და ის, რომ დღეს ხელისუფლება ბოკერიას ხელში არ არის, ღარიბაშვილისა და გახარიას დამსახურებაა.

– შეგიძლიათ, უფრო გარკვევით გვითხრათ სათქმელი?

– ხელისუფლების გადაბარების პროცესი გიორგი გახარიამ და ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაშალეს.

– რანაირად?

– მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ ადამიანებმა ხელისუფლების გადაბარების პროცესი ჩაშალეს. სქემის ავტორები გახარიასა და ღარიბაშვილს ამას არ აპატიებენ.

– რანაირად მოახერხეს ჩაშლა? ღარიბაშვილი ახლა დაბრუნდა პოლიტიკაში, გახარია 20 ივნისის მერე შარშია.

– გახარია 20 ივნისის გამო არ არის შარში, მთავარი მიზეზი გადაბარების პროცესის ჩაშლაა. მასთან ერთად ღარიბაშვილიც დიდ შარშია.

ვნახოთ ერთი, რა გამოვა. შემოდგომაზე აქციები განახლდება და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

„თავდაცვის სამინისტროში ტენდერებზე სასწაულები ხდება“

გულიკო ბალაძე

რატომ იშლება სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებული ტენდერები? როგორ ხდება პირდაპირი შესყიდვები? — ამ თემაზე „ახალ თაობას“ პარტია „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი და უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე ესაუბრა.

მამუკა ტუსკაძე: „4.000 წურბელა მორგებულ ტენდერებს ატარებს“

მამუკა ტუსკაძე:

– სახელმწიფო შესყიდვები კონკურენტულ გარემოში უნდა ტარდებოდეს. დღესაც ისეთივე მდგომარეობაა, რაც იყო 7 წლის წინ, კვლავ არის სახელმწიფო შესყიდვების პირობებზე მორგება. სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული არ არის მხოლოდ სააგენტო, რომელიც მარეგულირებელია. 64 მერია და 74 გამგეობაა. ყველას თავისი შესყიდვების სამსახური აქვს – სოციალური მომსახურების სააგენტოებს, სამინისტროებს, სიპებს. საქართველოში 4 ათასზე მეტი სახელმწიფო შემსყიდველია რეგისტრირებული, რომლებიც ტენდერს აცხადებენ. 4 ათასივე არის წურბელა. ისინი მორგებულ ტენდერებს ატარებენ.

– მორგებული რას ნიშნავს?

– წინასწარი შეთანხმებით მოქმედებენ, იციან, კონკრეტულ კომპანიას რა რესურსი აქვს, ისეთ პირობებს წერენ, რომელიც აქვს კომპანიას, რომლის გამარჯვებაც უნდათ. ზუსტად აქ არის კორუფცია. ტენდერის გამომცხადებელმა ზუსტად იცის, რომელი კომპანია მიიღებს მონაწილეობას და ვისი გამარჯვებაც უნდა, ზუსტად იმ კრიტერიუმებსა და პირობებს უწერს, რომლებიც ამ კომპანიას აქვს.

– სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დანაშაული რა არის?

– სააგენტო ყველას აკონტროლებს, თანამშრომლებს ლიცენზიებსაც სააგენტო აძლევს. ასევე სააგენტო არის დამადასტურებელი ორგანიზაცია პირდაპირი და გადაუდებელი აუცილებლობის შესყიდვების დროს. გახსენით საიტი და ნახეთ, პირდაპირი შესყიდვების რამდენად მაღალი პროცენტია.

– რამდენი პროცენტია?

– პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვები 50%-ზე მეტია მაშინ, როდესაც ზუსტად ვიცით, რომ ვთქვათ, 28 აგვისტოს არის მარიამობა და, თუ გამგეობას ფული აქვს გამოყოფილი ამ თარიღისთვის დასახარჯად, ტენდერი ადრე უნდა გამოაცხადოს. გამოაცხადე ტენდერი 15 იანვარს, 28 აგვისტოსთვის ესა და ეს მჭირდებაო, 20 აგვისტოს რომ აცხადებ. აქ არის კატასტროფული მდგომარეობა.

– შეგნებულად აგვიანებენ ტენდერების გამოცხადებას?

– დიახ, ტენდერებს შეგნებულად დაგვიანებით აცხადებენ. ამაზე დავების სახელმწიფო სააგენტომ რეაგირება უნდა მოახდინოს. მან სახელმწიფო შემსყიდველებს ინსტრუქცია უნდა მისცეს, რომ ტენდერი ადრე გამოაცხადონ.

როდესაც ახალი წელი 1 იანვარს მოდის, შენ კი 25 დეკემბერს აცხადებ ლამპიონების განათებაზე ტენდერს, თან იცი, რომ 5 დღეში ამას ვერ გააკეთებ, შემდეგ იძულებული გახდები, კონკრეტულ კომპანიას მისცე, რადგან იცი, რომ მას ჩამოტანილი აქვს. ამიტომ საახალწლო საჭიროებებისთვის ტენდერი მაისში უნდა გამოაცხადო.

თავდაცვის სამინისტროში ტენდერებთან დაკავშირებით სასწაულები ხდება. სახელმწიფომ წელსაც სამხედრო ფორმების შესასყიდად თანხები გამოყო იმ დროს, როდესაც აუცილებელი და დროული იყო ფორმის გამოცვლა. სანამ გამოცხადდა ტენდერი, სანამ გასაჩივრდა და განხილვები მოეწყო, ჯარისკაცი ფეხშიშველა დარჩა.

რა ვქნათ, ჯარისკაცს ფეხშიშველს ხომ ვერ დავტოვებთ. ამიტომ შემსყიდველმა, მაგალითად, თავდაცვის სამინისტრომ მიმართა ლევან რაზმაძის კანტორას და უთხრა, რა ვქნა, ტენდერის გამოცხადებას ვერ ვასწრებ, 20 მილიონის ფეხსაცმელი „სანდიკომ“ პირდაპირ მომყიდოსო.

– „სანდიკომ“ რატომ?

– იმიტომ, რომ ლევან რაზმაძისაა.

– კონკრეტულად, თვითონ ლევან რაზმაძისაა?

– მისი ძმაკაცისაა, რომელიც სხვა ფირმაში „პადელნიკად“ ჰყავს ლევან რაზმაძეს.

– თავდაცვის სამინისტროც შეთანხმებულია ამ პირებთან?

– რა თქმა უნდა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსი ლევან რაზმაძე რისკის ქვეშ არის. რაზმაძე რომ უწერს ხელს, პირდაპირი შესყიდვის წესით იყიდეო, არ იცის, რა ხდება?

– ლევან რაზმაძე მიუთითებს, „სანდიკოსგან“ შეისყიდეო?

– არ მიუთითებს, მაგრამ ლევან რაზმაძემ იცის, რომ „სანდიკოსგან“ უნდა შეისყიდოს.

– სხვა ფირმას არ აქვს ის საქონელი, რასაც „სანდიკოსაგან“ ყიდულობს?

– აქვს, მაგრამ ლევან რაზმაძე იმიტომ უწერს ხელს პირდაპირ შესყიდვაზე, რომ იცის, ვისგან იყიდის. ეს სქემა დიდი ხანია მოქმედებს. აქ უკვე ხარისხზე კი არა, ფასზეა საუბარი. იაფად მაძლევს და „სანდიკოსგან!“ იმიტომ ვყიდულობო.

– თავდაცვის სამინისტრო შეგნებულად აგვიანებს ტენდერის გამოცხადებას?

– არა მარტო თავდაცვის სამინისტრო იქცევა ასე, არამედ, მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროც. შესაძენი იყო სასწრაფო დახმარების მანქანები. იქამდე გააჯანჯლეს ტენდერის გამოცხადება, სანამ პირდაპირი შესყიდვის წესით არ მისცეს კომპანიას.

– ეს სერგეენკოს დროს იყო?

– დიახ. სასწრაფოს მანქანები გამოიწერეს, მერე ტენდერი გამოაცხადეს. ტენდერი ჩაიშალა დავების გამო, რადგან ბაზარზე სულ 6-7 კომპანიაა, რომლებსაც მანქანები შემოჰყავთ. აქედან ხუთი კომპანია ყოფილი მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილისაა, ერთი კი – გაჩეჩილაძეების, „სიტროენი“. ამ წვალებაში გავიდა დრო და ბოლოს „იბერია ავტოჰაუსს“ მისცეს მანქანების ჩამოყვანის უფლება.

– „იბერია ავტოჰაუსი“ ვისია?

– ხეჩიკაშვილის. მიწისძვრა ხომ არ იყო და სასწრაფო დახმარების მანქანა ხომ არ დაანგრია, ხომ იცი, რომ მანქანა ფუჭდება, გააკეთე, ან

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ანა ნაცვლიშვილი: „მელიას საქმეზე პროკურატურის წერილში არარსებული საქმეა მოყვანილი“

„სტაჟიორი მაინც არ გყავდათ, რომ დაგევალებინათ თვალის გადავლება?“

იურისტმა ანა ნაცვლიშვილმა პროკურატურის მიერ მელიასთვის იმუნიტეტის მოსახსნელ წერილში უზუსტობები იპოვა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა.

„კვლევით პროექტში ვმონაწილეობ და ამ დღეებში დამჭირდა წამეკითხა გენერალური პროკურორის მიერ პარლამენტისთვის მიწერილი ოფიციალური წერილი, რომლითაც გენერალური პროკურორი მიმართავს პარლამენტს, გასცეს ნიკანორ მელიას დაპატიმრების თანხმობა (20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით).

თავი რომ დავანებოთ დოკუმენტის სამართლებრივი დასაბუთების ხარისხს (რომელიც პრობლემურია), გეტყვით მხოლოდ რამდენიმე ფაქტს:

– დოკუმენტი მხოლოდ 4 გვერდისგან შედგება.

– იმის დასასაბუთებლად, რომ აუცილებელია მელიასთვის პატიმრობის შეფარდება, მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

– მითითებული საქმეებიდან ერთი უბრალოდ ბუნებაში არ არსებობს! (საქმეში მითითებულია კონრადი იტალიის წინააღმდეგ, ბევრი ძებნის შემდეგ მივაგენი საქმეს, რომელსაც სინამდვილეში გულისხმობენ და რომლის სახელიც ასე ჟღერს: კონტრადა იტალიის წინააღმდეგ).

– მითითებული ერთ-ერთი საქმე (ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ) საერთოდ არ ეხება დოკუმენტში განსახილველ სამართლებრივ საკითხს – პატიმრობის შეფარდების სტანდარტებს (ეხება ციხეში სამედიცინო სერვისების არარსებობის გამო არაადამიანურ მოპყრობას).

– დანარჩენ მითითებულ საქმეებში ფაქტობრივი გარემოებები იმდენად განსხვავდება მელიას საქმისგან, რომ მათი მითითება დოკუმენტში არარელევანტურია.

ეს მხოლოდ წმინდად სამართლებრივ ნაწილზე მოგახსენეთ, უფრო დიდ სურათსაც ვხედავ ძალიან ნათლად, ამაზე მოგვიანებით.

არ ჩამიხედავს სხვა გახმაურებული საქმეების დოკუმენტაციაში, მაგრამ ამის მერე როგორი დასაჯერებელია, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეში, რომელიც სამართლებრივად გაცილებით მეტ კვალიფიკაციას მოითხოვს, წესრიგია?

როგორი დასაჯერებელია, ყველა ამ პერიოდში და ადრე დაწყებულ გამოძიებებში სხვა საქმეებზე, რომ სამართლებრივად სწორი ანალიზი და დასკვნებია გაკეთებული?

როგორი დასაჯერებელია, რომ გვარამიასთვის წარდგენილი ბრალი დასაბუთებულია?

ამის მერე აღარ მიკვირს ვატო წერეთლისთვის სასამართლოდან გაგზავნილი მესიჯის შინაარსი და ფორმა!

დოკუმენტში, რომელიც პარლამენტის 150 დეპუტატს უნდა წაეკითხა და მიეღო პრეცედენტული გადაწყვეტილება, ასეთი ლაფსუსებია დაშვებული, ჯერ კომიტეტმა განიხილა, მერე პლენარულ სხდომაზე გავიდა – დეპუტატებს როგორ არ გრცხვენიათ, რომ ამაზე დაყრდნობით მიიღეთ გადაწყვეტილება?

სტაჟიორი მაინც არ გყავდათ, რომ დაგევალებინათ თვალის გადავლება? კანონებსაც ასე იღებთ?

სირცხვილია!“

ბეჟან ლორთქიფანიძე ციხიდან გამოუშვეს

20 ივნისის საქმეზე დაკავებული ბეჟან ლორთქიფანიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ჯგუფური ძალადობის ბრალდებით დაკავებულმა საქალაქო სასამართლოს შენობა 10 აგვისტოს დატოვა.

ნეიშენალ ჯეოგრაფიკის მკვლევარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ბეჟან ლორთქიფანიძის ახლობლებმა 9 აგვისტოს გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ლორთქიფანიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ბეჟან ლორთქიფანიძის სასამართლო სხდომა 17 სექტემბერს გაიმართება.

„ცოლს სცემდა და ნარკოტიკებს ინახავდა“

თბილისში მამაკაცი დააკავეს

სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში ერთი პირი დააკავეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული მეუღლეს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

შსს-ის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. უწყების ცნობით, პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 5 აბი.

გამოძიება ოჯახში ძალადობისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ნერეთელზე ბინა დაიწვა

თბილისში, წერეთელზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა. თვითმხილველების ინფორმაციით, მთლიანად დაიწვა ბინა.

შემთხვევის დროს სახლში არ იმყოფებოდნენ და მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. დაიწვა 40 კვ. მ. ფართობი.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ამ დროისთვის ხანძარი ლიკვიდირებულია.

ალმაშენებლის ხეივანზე მანქანა ამოტრიალდა

1 ადამიანი დაშავდა

დიღომში, აღმაშენებლის ხეივანზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაშავდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ავარიისას ავტომობილი ამობრუნდა.

დაშავებული, რომელსაც დაზიანება ხელის არეში ჰქონდა მიღებული, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

პოლიციამ ბათუმში 31 წლის ქალისგან ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ხ.თ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული ქალის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 35 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

აღნიშნული დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჭრებალოში სახლი დაიწვა

მეპატრონეს მთავრობა 10.000 ლარს გადაუხდის

ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოში საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ხანძრის გამომწვევ მიზეზად ბუხარი სახელდება. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურები, თუმცა სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ჭრებალოში დაზარალებულ ოჯახს ადგილობრივი მთავრობა 10.000 ლარით დაეხმარება. მანამდე კი ამბროლაურის მერიამ ოჯახს ბინის ქირით უზრუნველყოფა და, საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის დახმარება შესთავაზა.

რუსთავში 35 წლის ქალი სახლში გარდაცვლილი იპოვეს

რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, 35 წლამდე ასაკის ქალი ოჯახის წევრებმა სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.

გარდაცვლილს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები ჰქონდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით არის დაწყებული, გარდაცვალების ზუსტი მიზეზი კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პასუხის შემდეგ გახდება ცნობილი.

იმერეთში პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ხ.კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულისგან ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 120 აბი, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.



გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

გორში საფეხბურთო მატჩზე 40 წლის ქალი გარდაიცვალა

გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე, გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის მიმდინარე მატჩის დროს 40 წლის ქალს გულის შეტევა დაემართა. გულშემატკივარი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

კლინიკა „გორმედის“ ექიმების განცხადებით, პაციენტი საავადმყოფოში გულის გაჩერებით შეიყვანეს.

– 40 წლის ქალი გულის გაჩერებით შეიყვანეს კლინიკაში. 40 წუთის განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა რეანიმაციული ღონისძიებები, თუმცა გულის ამუშავება ვერ მოხერხდა. როგორც პაციენტის ახლობლებმა განაცხადეს, ქალს გულის ქრონიკული პათოლოგია – დილატაციური კარდიომიოპათია აღენიშნებოდა, – განაცხადა „გორმედის“ კლინიკურმა დირექტორმა დავით ყაზაიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

„თავდაცვის სამინისტროში ტენდერებზე სასწაულები ხდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ჩამოწერამდე 1 კვირით ადრე რომ აცხადებ ტენდერს, რამდენიმე თვით ადრე გამოაცხადე და მან მოიგოს, ვინც უკეთეს მანქანას ჩამოიყვანს, რატომ გინდა, მაინცდამაინც იმან ჩამოიყვანოს? იმიტომ, რომ ის კორუფციაშია ჩართული.

– ხეჩიკაშვილის კომპანიას რომ მისცეს მანქანის ჩამოყვანის უფლება, კორუფცია რით გამოიხატა? ან ვინც დაუშვა, მანქანები პირდაპირი წესით შეესყიდათ, რაიმე სარგებელი აქვს?

– ამის მტკიცებულება – დოკუმენტი არ მაქვს, მაგრამ დაუკვირდით, ყველაფერი მიდის იქით, ან მოხალისე დებილია, ვთქვათ, სერგეენკოს სამსახური და ამხელა ფულს აკეთებინებს ვიღაცას, თვითონ კი არაფერს იღებს. ისიც დანაშაულია თუ დებილია, თუ ფული აიღო, უფრო მეტი დანაშაულია.

– რატომ არ აირჩიეს გაჩეჩილაძეების კომპანია და რატომ აირჩიეს ხეჩიკაშვილის?

– პირდაპირი მიყიდვის დროს ხეჩიკაშვილმა უფრო იაფად მისცა.

– გაჩეჩილაძეებს რომ ეთქვათ, უფრო იაფად ჩამოვიყვანთო, მაშინ?

– მაშინ პირდაპირი მიყიდვას არ დაუშვებდნენ, ტენდერს გამოაცხადებდნენ და იქ წააგებინებდნენ. წააგებინეს კიდევაც.

– კვირიკაშვილს რომ მიმართეს და არ დაეხმარა?

– მაშინ სხვა რამეზე იყო. თავდაცვასა და ჯანდაცვაში ასეთი მდგომარეობაა.

– არ შეიძლება, მხარეების მიხედვით იყოს სამსახურები, მათ აძლევდნენ შეკვეთებს და ტენდერებს ის აცხადებდეს?

– მე ეს წინადადება მქონდა. შარშანწინ ლევან რაზმაძესაც ველაპარაკე, რომ პროექტი გაგვეკეთებინა, ერთი თავკომბალა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შეგვექმნა და ის 4.400 წურბელა გაგვეშვა, მაგრამ უარი თქვა.

– შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ეს საკითხი როგორ რეგულირდებოდა?

– სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა პირველად შევარდნაძის დროს შეიქმნა, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური ერქვა. მისი ხელმძღვანელი იმ დროს ტახირ არველაძე იყო. დაიბარებდა 3 კაცს და, ვინც მისაღები იყო, მისგან ყიდულობდა. ამას ერქვა ტენდერი. კორუფცია ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო. ტენდერი იყო ძმაკაცობა.

სააკაშვილის დროს შეიქმნა სააგენტო და ზუსტად იგივე ხდებოდა, რაც შევარდნაძის დროს. სააკაშვილმა კორუფცია კი არ მოსპო, არამედ უფრო გაიზარდა.

კაცს 50-ათასიანი ტენდერი რომ მისცეს, უკან მოატანინეს 100 ათასი. ძალადობა იყო. ეს ოქრუაშვილმა აღიარა კიდევაც.

ამიტომ სააკაშვილის დროს ტენდერებში მონაწილეობა შეწყვიტეს.

რუსეთში 8 აგვისტოს ბირთვული კატასტროფა მოხდა?

რა აფეთქდა არხანგელსკის რაკეტების პოლიგონზე

მძლავრდება ეჭვები, რომ 8 აგვისტოს რუსეთში ბირთვული კატასტროფაა მომხდარი და კრემლი ამას მალავს.

პრაიმტაიმის ცნობით, სტატიას ამის შესახებ დეილი მეილი აქვეყნებს.

გაზეთი რუსეთის არხანგელსკის მხარეში, ატომური წყალქვეშა ნავებისთვის განკუთვნილი ბალისტიკური რაკეტების გამოსაცდელ პოლიგონზე მომხდარ აფეთქებას ეხმაურება, რომელიც 8 აგვისტოს, მოსკოვის დროით 11:50-ზე მოხდა.

გამოცემა წერს, რომ აფეთქების შემდეგ რადიაციულმა ფონმა, სულ მცირე, 20-ჯერ მოიმატა.

ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტი, რომ აფეთქების შედეგად დაშავებული 6 პირი სპეციალიზებული სასწრაფო დახმარების მანქანებით გადაიყვანეს მოსკოვის ბურნასიანის სახელობის ფედერალურ სამედიცინო ბიოფიზიკურ ცენტრში, სადაც რადიაციულ დასხივებებს მკურნალობენ.

გარდა ამისა, აფეთქების შედეგად დაღუპულებსა და დაშავებულებს სპეცტანსაცმელი ეცვათ, რომლებიც მოგვიანებით სასწრაფოდ გაანადგურეს.

გაანადგურეს ის სპეცსამოსიც, რომლებიც მედიკოსებს დაშავებულებისთვის შემთხვევის ადგილზე პირველადი დახმარების აღმოჩენისას ეცვათ.

ქალაქ სევოროდვინსკში, რომელიც პოლიგონიდან დაახლოებით 25 კილომეტრში მდებარეობს, რადიაციის დონემ დასაშვებ ზღვარს 20-ჯერ გადააჭარბა. მოსახლეობა პანიკაშია. საავადმყოფოების ადმინისტრაციამ მათ იოდინის მიღების რეკომენდაციით მიმართა.

აფეთქების გამო რუსეთმა თეთრი ზღვის ნაწილი 1 თვით გადაკეტა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კი აცხადებს, რომ ინციდენტის რაიონში რადიაციული ვითარება ნორმალურად ფასდება. 8 აგვისტოს უწყებამ განცხადება გაავრცელა, სადაც წერია, რომ „რეაქტიული დანადგარის გამოცდისას პოლიგონზე აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 2 ადამიანი დაიღუპა და 6 დაშავდა“.

8 აგვისტოს, თავდაცვის უწყების განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, ინფორმაცია საკუთარ ვებგვერდზე სევეროდვინსკის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გაავრცელა, სადაც რადიაქტიური ფონის „ხანმოკლე მატების“ შესახებ წერდნენ. ამ დროისთვის ეს ინფორმაცია საიტიდან გამქრალია.

დაღუპულებისა და დაშავებულების რაოდენობის შესახებ ოფიციალურისგან განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა რუსულ გამოცემაშიც.

ერთ-ერთი ვერსიით, პოლიგონზე „ცირკონის“ ტიპის ზებგერით რაკეტას ცდიდნენ, რომელიც ერთ-ერთია იმ გასაიდუმლოებული იარაღიდან, რომლის შექმნითაც ვლადიმირ პუტინი 2018 წლის საჯარო გამოსვლისას დასავლეთს ემუქრებოდა.

როსატომის ხელმძღვანელობამ ავარიისა და მისი 5 თანამშრომლის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა, თუმცა განაცხადა, რომ ეს სარაკეტო ძრავებისა და არა ბალისტიკური რაკეტების გამოცდისას მოხდა.

რუსი სპეციალისტები ადასტურებენ, რომ აფეთქების შედეგად რაიონში რადიაციამ მოიმატა, მაგრამ ეს უმნიშვნელო რაოდენობით მოხდა, რაც გარემოსთვის ზიანის მომტანი ვერ იქნება.

ტრამპმა ზელენსკი თეთრ სახლში მიიწვია

ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი თეთრ სახლში მიპატიჟებულია და მისი ვიზიტი ამერიკაში მალე შედგება.

ამის შესახებ თეთრი სახლის ლიდერმა ჟურნალისტებს 10 აგვისტოს განუცხადა.

ტრამპის თქმით, ის ზელენსკის „ძალიან ჭკვიან ადამიანად“ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ზელენსკის შეუძლია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეთანხმება.

ტრამპის განცხადებით, ზელენსკის უკრაინაში მშვიდობა სურს.

ამერიკაში ვიზიტამდე, უკრაინული მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, ამერიკისა და უკრაინის პრეზიდენტები ვარშავასა და ნიუ იორკშიც შეხვდნენ ერთმანეთს.

პუტინის რეიტინგი მინიმუმამდე დაეცა



რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მხარდაჭერა მოსახლეობაში იკლებს. გამოკითხულებიდან არჩევნებზე მისთვის ხმის მიცემას ამომრჩეველთა მხოლოდ 43% აპირებს. ეს მონაცემები ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ კვლევის შედეგად გამოქვეყნდა.

ბოლო 18 წლის განმავლობაში ასეთი დაბალი შედეგი არ დაფიქსირებულა. მხოლოდ 2001 წლის აპრილში იყო 42%.

შემცირდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პუტინი თავის მოვალეობებს კარგად ასრულებს, ივლისის 64%-დან ამჟამინდელ 60%-მდე.

ექსპერტების აზრით, პუტინის რეიტინგის კლების მიზეზები შეიძლება იყოს ტყის ხანძრებიც, მოსკოვის არჩევნებში ოპოზიციონერებისთვის უარის თქმა და ბუნებრივად თაობათა ცვლაც.

მოქმედი კონსტიტუციით, ვლადიმერ პუტინს 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღარ აქვს.

ამერიკელ ნეონაცისტს ბრალად სინაგოგაზე თავდასხმა ედება



გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ნეონაცისტი კლიმო დააპატიმრა. ის ღას ვეგასში აიყვანეს.

კლიმოს ბრალად ედება სინაგოგაზე თავდასხმის მომზადება.

კლიმო, როგორც ექსტრემისტი, კარგა ხნის წინ მოხვდა გფბ-ს ყურადღების ქვეშ. მას უთვალთვალებდნენ. გფბ-ს აგენტებმა დააფიქსირეს, რომ ნაცისტმა შეიძინა ნივთიერებები, რომელთა მეშვეობითაც ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება შეიძლებოდა.

კლიმოს ბინის ჩხრეკისას ხსენებული ნივთიერებები, აგრეთვე დიდძალი იარაღი და ექსტრემისტული ლიტერატურა ამოიღეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გოგონამ „მაკდონალდსში“ წასასვლელად დედის მანქანა გაიტაცა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზას-სიტიში ათი წლის გოგონამ დედის მანქანა გაიტაცა, მის მართვას თავი ვერ გაართვა და დაამტვრია.

პატარა ამერიკელმა „მაკდონალდსში“ წასვლა ოჯახის კუთვნილი ავტომობილით შეეროლე ტაჰომათი გადაწყვიტა. მან მანქანა ადვილად აამუშავა, მაგრამ სწრაფი კვების რესტორნისკენ მიმავალ გზაზე ჰონდა პილოტს დაეჯახა.

გოგონა უმნიშვნელო ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეორე მანქანის მძღოლი არ დაშავებულა. ავტოავარიის შედეგად ორივე მანქანა შეკეთებას საჭიროებს.

მოგვიანებით გოგონამ პოლიციას უამბო, რომ დილით ადრე გაეღვიძა და გადაწყვიტა, სანამ დედამისს ეძინა, საჭმელი „მაკდონალდსში“ შეეძინა. მან რამდენიმე კილომეტრი გაიარა, გზა აერია და შემხვედრ ავტომობილს დაეჯახა.

ამ დროისთვის პოლიცია შემთხვევას იძიებს.

ავარიის შედეგად ასეულობით ბოთლი ღვინო განადგურდა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ერთმანეთს ორი სატვირთო მანქანა შეეჯახა, რომელთაგან ერთ-ერთი ასეულობით ბოთლი ღვინით იყო დატვირთული.

ავარია 6 აგვისტოს, ღამით მოხდა ავტომაგისტრალზე ი-94. ერთ-ერთ სატვირთოს დაახლოებით 18 ათასი ლიტრი ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო გადაჰქონდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დიდი ტვირთამწეობის მანქანას საბარგო განყოფილების კარი დაუზიანდა და შედეგად გზაზე ათეულობით ალკოჰოლური სასმელით სავსე კოლოფი გადმოიყარა.

ილინოისის პოლიციის მონაცემებით, ავარიის ერთ-ერთმა მონაწილემ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

შემთხვევის ადგილზე მისული დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები რამდენიმე საათის განმავლობაში ასუფთავებდნენ გზას მინის ნამსხვრევებისა და დაღვრილი ღვინისგან. მაგისტრალი მხოლოდ დილის საათებში ამუშავდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

88 — ფაშისტური სიმბოლო თუ ფანკლუბის დაბადების წელი

რატომ დასაჯეს დინამო

ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის დინამო შინ ჰოლანდიურ ფეიენოორდს დაუხვდება. როგორც ცნობილია, ეს შეხვედრა მაყურებლის გარეშე ჩატარდება. უეფამ დინამო ასე დასაჯა და ზედ 50.000 ევრო ჯარიმაც დააკისრა.

დინამოში ფიქრობენ, რომ ეს გაუგებრობაა. კლუბმა უეფასგან გამოითხოვა დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ გაბალასთან მატჩის უეფას დელეგატი რასაც რაპორტში წერს, საერთოდ არ ყოფილა შენიშვნის მიზეზი. ბანერი, რის გამოც დისაჯა დინამო, ფანებს სხვადასხვა ღონისძიებაზე ადრეც აქვთ გამოყენებული და ამის შესახებ მანამდე არანაირი შენიშვნა არც უეფასგან, არც სხვა ორგანოდან დინამოს არ მიუღია.

და რა არის ბანერზე გამოსახული? ბანერზე გამოსახულია რიცხვი 1988 და წარწერა „ოლდ სქულ“ (ლათინური შრიფტით), რაც წარმოადგენს დინამოს ძველ გულშემატკივართა გაერთიანებას. 1988 არის წელი, როდესაც დინამოს ამ გულშემატკივრებმა პირველად დაიწყეს ორგანიზებულად დაიწყეს სიარული გასვლით თამაშებზე – ვილნიუსი, კიევი, ლვოვი, მოსკოვი. შესაბამისად, 1988 ითვლება კიდევ არაოფიციალურ დაფუძნების წლად. უბრალოდ, დიდი შრიფტით წერია 88, ხოლო 19 – შედარებით მცირეთი.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა შესაბამისი წესით და კლუბში იმედს იტოვებენ, რომ უეფა გაითვალისწინებს დინამოს არგუმენტებს და მაყურებელს მისცემს შესაძლებლობას მხარი დაუჭიროს მის საყვარელ გუნდს.

ჩვენი მხრივ, გეტყვით, რომ 88 ნეონაცისტური სიმბოლოა, რომელსაც შეესაბამება ლათინური ანბანის ასოები და გამოდის ჰაილ ჰიტლერ.

დინამოს პროტესტის პასუხს უეფა ორშაბათს ან სამშაბათს გამოაცხადებს.

ბათუმის დინამომ ცუდი სერია მესხზე შეწყვიტა

ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) 0:3

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ჯიღაური (10), 0:2 დვალიშვილი (28), 0:3 გაფრინდაშვილი (89)

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, კიკალიშვილი (ნაჭყებია 73), ლ.ჯანელიძე, ჩიტიშვილი (ავლოხაშვილი 77), ქისიევი, სეხნიაშვილი, ვარძელაშვილი, ზარიძე (ხუციანიძე 54), ნანობაშვილი, მუსელიანი, მუზაშვილი

დინამო: ალავიძე, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ჯიღაური (ტეიდი 79), თევდორაძე, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, რამოსი (გაფრინდაშვილი 68), დვალიშვილი (ილურიძე 89)

ვიტ ჯორჯიამ ეროვნული ლიგის 23-ე ტურის მატჩში ბათუმის დინამოს უმასპინძლა. ზღვისპირელთა უპირატესობა აშკარა იყო და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს კიდეც – 3:0.

ვიტ ჯორჯიამ ბოლოს 1 ივნისს მოიგო, მას მერე 5-მატჩიანი მოუგებელი სერია (1 ფრე, 4 წაგება) ჰქონდა. ვერც ბათუმელები დაიკვეხნიდნენ ბოლოდროინდელი სტატისტიკით -ბოლო გამარჯვება 2 ივნისზე მოდიოდა. დინამოს ასევე 5 მატჩის განმავლობაში ვერ მოეგო (3 ფრე, 2 წაგება). ვიტ ჯორჯია ბოლო ადგილზეა, ხოლო ერთ დროს ლიდერი ბათუმის დინამო ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ, მე-3 ადგილამდე დაქვეითდა.

ბათუმელთა სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშა ჯაბა ჯიღაურმა, რომელიც დილასთან მატჩში შეცვლაზე შევიდა. სწორედ ჯიღაური იყო მატჩის დასაწყისში ყველაზე აქტიური და სწორედ ნაკრების ფეხბურთელმა გახსნა ანგარიში გეგეჭკორი-დვალიშვილის კომბინაციის შემდეგ. ეს მე-10 წუთზე მოხდა.

28-ე წუთზე საგოლე კომბინაციაში კვლავ გეგეჭკორმა და დვალიშვილმა მიიღეს მონაწილეობა და ბათუმელთა შემტევმაც ბათუმის რიგებში პირველი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში შედარებით უინტერესო თამაში იყო, რომელიც ბოლოსკენ გამოცოცხლდა, 89-ე წუთზე ისევ დვალიშვილმა იაქტიურა, მისი დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ იქვე თორნიკე გაფრინდაშვილმა დაამატა – 0:3.

დილა-ლოკომოტივი 0:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 ჯიქია (90)

დილა: ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, ჩადუნელი, ა.სანტოსი, ე.სანტოსი, ნონდი (ლემპტი 90), რაზმაძე, ფორტესი, ნონიკაშვილი (პაიმი 90), წიქარიძე (გოშთელიანი 67), რიდი

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, სამურკასოვი, შონია, დ.კირკიტაძე (გოროზია 78), ძებნიაური, მახარობლიძე (შეყილაძე 84), სიხარულიძე (ჯიქია 84)

გორში თენგის ბურჯანაძის სახელობის არენაზე დილასა და თბილისის ლოკომოტივს შორის საინტერესო გაიმართა.

გამარჯვებულის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა – მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ გუნდებმა ქულები გაიყვეს. ბოლო წუთზე დავით ჯიქიამ გაიტანა.

გასულ ტურში თბილისის დინამოსთან გამანადგურებელი ანგარიშით წაგების შემდეგ ლოკომოტივმა ისევ მოიპოვა მნიშვნელოვანი 3 ქულა და სატურნირო ცხრილი უკეთესი გაუხდა.

დილას კი ჯერ კიდევ საბრძოლი აქვს.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	22	14	2	6	45-23	44
2.დინამო (ბთ)	23	13	4	6	37-22	43
3.საბურთალო	21	12	4	5	38-26	40
4.ლოკომოტივი	23	11	2	10	28-29	35
5.ტორპედო	21	10	4	7	42-33	34
6.ჩიხურა	22	6	9	7	28-23	27
7.დილა	23	7	5	11	24-27	26
8.სიონი	22	7	4	11	24-52	25
9.რუსთავი	22	5	7	10	25-36	22
10.ვიტ ჯორჯია	23	4	3	16	11-31	15

ნეიმარი რეალში გადადის?

პარი სენ-ჟერმენის ბრაზილიელი თავდამსხმელის ნეიმარის ესპანეთში შესაძლო დაბრუნებაზე საუბარი არ წყდება. ბოლო ინფორმაციით კი სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა 28 წლის ბრაზილიელს პირადი კონტრაქტის პირობები გაუგზავნა.

ესპანური მედიის ინფორმაციით, რეალი ფეხბურთელს 5-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობს, სადაც ყოველწლიურ ხელფასად 40 მილიონი ევროა გათვალისწინებული. ეს მეტია იმაზე, რასაც ბრაზილიელი პარიზულ კლუბში იღებს და, თუ შეთავაზებაზე თანხმობას იტყვის, მსოფლიოში მეორე ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება. ადვილი მისახვედრია, რომ პირველი ბარსელონის სუპერვარსკვლავი ლიონელ მესია.

მიუხედავად ამისა, ნეიმარი არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას, რადგან დაბრუნება ბარსელონაში სურს. კატალონიური კლუბს ბრაზილიელის დაბრუნება კი სურს, მაგრამ ბოლო დროს პსჟ-ისა და ბარსას ხელმძღვანელობებს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ფრანგებიც ნეიმარის სხვა კლუბში გაშვებაზე ფიქრობენ.

როგორც ჩანს, პარიზელებმა 27 წლის ბრაზილიელის მადრიდულ გრანდში ტრანსფერს მწვანე შუქი აუნთეს. ესპანური მედიის ინფორმაციით, პსჟ-ს ბოსმა ნასერ ალ-ხელაიფიმ ნეიმარის აგენტს ნება დართო, რეალთან მოლაპარაკებები აწარმოოს. სავარაუდოდ, ეს მალე მოხდება, რადგან კლუბებს შორის პირველი შეხვედრა უკვე შედგა.

ნეიმარი ცოტა ხნის წინ რეალში გადასვლას გამორიცხავდა, ახლა კი პარიზული კლუბიდან წასვლის სურვილი იმდენად დიდია, რომ უკვე თანახმაა, რეალში ითამაშოს. ბოლო ცნობებით, ეს ტრანსფერი ძალიან მალე განხორციელდება. სავარაუდოდ, ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე (16 აგვისტო).

ფეხბურთი

10 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიდა

ვესტ ჰემი-სიტი 0:5
ბარნლი-საუთჰემპტონი 3:0
ბორნმუთი-შეფილდი 1:1
კრ.პალასი-ევერტონი 0:0
უოტფორდი-ბრაიტონი 0:3
ტოტენჰემი-ასტონ ვილა 3:1

ინგლისი. ჩემპიონიდა

ლიდსი-ნოტინგემი 1:1
ბირმინგემი-ბრისტოლი 1:1
ვესტ ბრომვიჩი-მილუოლი 1:1
დერბი-სუონსი 0:0
კარდიფი-ლუტონი 2:1
ქარ-ჰადერსფილდი 1:1
მიდლსბრო-ბრენტფორდი 0:1
პრესტონი-უიგანი 3:0
ფულემი-ბლეკბერნი 2:0
ჰალი-რედინგი 2:1
ჩარლტონი-სტოკი 3:1
უენსდი-ბარნსლი 2:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-რეიმსი 0:2
ანჟე-ბორდო 3:1
ბრესტი-ტულუზა 1:1
დიჟონი-სტ.ეტიენი 1:2
მონპელიე-რენი 0:1
ნიცა-ამიენი 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

კლერმონი-ლანსი 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-ტვენტე 1:3
აიაქსი-ემენი 5:0
ტილბურგი-ვიტესი 0:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-ფამალიკანი 0:2
ჟილ ვისენტე-პორტუ 2:1
ბენფიკა-ფერეირა 5:0

ჩუსეთი. პრემიერლიგა

ორენბურგი-ტამბოვი 2:2
დინამო-ზენიტი 0:2
კრასნოდარი-რუბინი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სერვეტი 3:1
სტ.გალენი-იანგ ბოიზი 2:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-სელტიკი 2:5
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი 2:2
ჰამილტონი-კილმანროკი 2:0
ჰართსი-როსი 0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ლინცერი 0:1
რაპიდი-ალტახი 2:1
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი 5:2

ბელგია. ა დივიზიონი

ოსტენდე-ბრიუგე 0:2
სერკლი-კორტრაიკი 1:3
ეუპენი-ბეველენი 1:1
გენკი-ვარეგემი 0:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ბოჰემიანსი 4:2
პრჟიბრჟამი-ჩესკე 2:0
სიგმა-კარვინა 1:1
სლავია-ლიბერეცი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პოგონი-ვისლა 1:0
ზაგლებიე-არკა 2:0
გურნიკი-ჩენსტოხოვა 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

დინამო-შახტარი 1:2
ოლექსანდრია-ოლიმპიკი 2:1
ვორსკლა-ლვოვი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-სირიუსი 4:0
სუნდსვალდი-ესტერსტუნდი 1:1

ნორვეგია. ელიტსერია

რუსენბორგი-ტრომსო 5:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კუუპიო-ინტერი 2:0
ჰიკი-ლახტი 4:0
ჰონკა-სეინეიოკი 0:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯაჭვოხდი



1. საქონლის შემოტანა უცხოეთიდან; 2. საცხოვრებელი სადგომი სახლის სხვენზე; 3. გერმანული ავტომარკა; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. ნიავი; 6. დიდი ჩაქუჩი; 7. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 8. ნამუსი; 9. ერთჯერად თამაშზე უარის წამოძახილი ბანქოს ზოგიერთ თამაშში; 10. ... კურისავა; 11. პურსაცხობი; 12. ქართული გაზეთი; 13. ... ელექტრა; 14. უსიტყვო როლის შემსრულებელი მსახიობი; 15. მუზეუმი მადრიდში; 16. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 17 ლეოპარდი; 18. ქალაქი საფრანგეთში; 19. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი; 20. ზღვისგან გამოყოფილი წყალმარჩხი ყურე ან უბე; 21. „... ვხედავ მზეს“; 22. ჯარი; 23. ჰონდურასის ფულის ერთეული; 24. ალკოჰოლიანი სასმელი; 25. ბრიტანეთის ... (სახელმწიფო); 26. ერთგვარი ყელსახვევი; 27. კუბურ-ესპანური ცეკვა; 28. ფრანგი პოეტი (მე-19 ს.ს.); 29. ბერძნული ანბანის ასო; 30. მუსიკალური გამის მე-9 საფეხური.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თრუსო; 5. პიტიუნტი; 6. ვუდსი; 7. ვანდომი; 9. სინხუა; 13. დიჯეი; 17. საკი; 18. სიო.

თარაზულად: 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ჩერჩილი; 11. ამანი; 12. ბოდრუმი; 14. სეგუნი; 15. კრიკინა; 16. ტესტი; 19. იბერია; 20. ლიბრეტო; 21. რწყილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კელნერი; 2. დუაიენი; 3. ბიატლონი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიუჯეტი; 9. კარამელი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. შალახო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. კეტჩერი; 11. მომა; 14. ბანკნოტი; 15. ტალახაძე; 18. ბოჟოლე; 21. სალომეა; 22. შაშვი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

კალეიდოსკოპი

ლატარიის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულს ფულზე გული აუცრუვდა

ინგლისის ქალაქ უორკინგტონის მკვიდრმა, რომელიც ლატარიის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა, გათამაშების ორგანიზატორებს მოუწოდა, გათამაშებაში მონაწილეთა ასაკობრივი ცენზი 18 წლამდე ასწიონ.

2003 წელს კელი როჯერსმა ლატარიაში 1,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. მაშინ 16 წლის იყო. ის ნაშვილები იყო და მოლარედ მუშაობდა. მოგებიდან რამდენიმე კვირაში მან სახლი შეიძინა და იქ საცხოვრებლად თავისი მომავალი შვილების მამასთან ერთად გადავიდა. როჯერის თქმით, ის რამდენიმე დღეში უზრუნველი ბავშვიდან ზრდასრულ ადამიანად გადაიქცა.

კელი თვლის, რომ ფულებმა ის უბედური გახადა: მან ისინი ნარკოტიკებში, მეგობრების საჩუქრებსა და პლასტიკურ ოპერაციაში დახარჯა.

– ნაცნობები ფულს მთხოვდნენ ახალი მანქანის შესაძენად და მეც ვაძლევდი, – იხსენებს როჯერსი, – უარის თქმა არ გამომდიოდა. ახლა უკვე მესმის, რომ ჩემი ასაკის გამო, უბრალოდ, მიყენებდნენ. ბევრი ყალბი მეგობარი მყავდა.

მას განქორწინების, თვითმკვლელობის მცდელობის და მშობლის უფლების ჩამორთმევის გადატანა მოუხდა.

ამჟამად როჯერსი წელიწადში 12 ათას ფუნტს გამოიმუშავებს და სამ შვილს ზრდის. მისი თქმით, ახლა თავს გაცილებით ბედნიერად გრძნობს, ვიდრე იმ დროს, როდესაც მოგებამ გაამილიონერა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhalitaoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9360

ევრო — 3.2898

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5511

100 რუსული რუბლი — 4.4852

ამინდის პროგნოზი 12 აგვისტო

ქეთევან კიკნაძე: „გვარამიას მხარეზე ვიხრებით მგონია, თუ არა მისი უზრდელობა და შიბზიკობა“

მსახიობი ქეთევან კიკნაძე მთავრობას „რუსთავი 2“-ის ყოფილ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით აკრიტიკებს:

– კაცმა მილიონები მიიტაცა და 80.000 დაუწესეს, მერე – 40.000. იმის მაგიერ, რომ მოემატებინათ, დაუკლეს, ახლა კიდევ რა იქნება, ღმერთმა იცის. ესენი ყველაფრის ღირსები არიან, ხალხის ნერვებზე რომ თამაშობენ. ჰოდა, გვარამიას მხარეზე ვიხრებით მგონია, თუ არა მისი უზრდელობა და შიბზიკობა.

სოფო ბათილაშვილი ბერკლიმ 100.000 დოლარით დააფინანსა

„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი ბერკლის სასწავლებელმა 100.000 დოლარით დააფინანსა.

სოფომ ბერკლიში გამგზავრება პროექტის გამარჯვების დროს მოიგო და ამით ბავშვობის ოცნება აისრულა. მომღერალმა ბერკლის წარმომადგენლებისგან ოფიციალური წერილი უკვე მიიღო.

– ასეთი ამბავია!

გავიარე გამოცდა და 4-წლიან ბაკალავრზე სასწავლებლად ჯამში 100.000 დოლარით დამაფინანსა ბერკლიმ, – განაცხადა მომღერალმა.

გია ყანჩელს დაბადების დღე საავადმყოფოში მიულოცეს

კომპოზიტორ გია ყანჩელს 84-ე დაბადების დღე საავადმყოფოში მიულოცეს.

არაერთი ცნობილი მუსიკის ავტორს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და მკურნალობის კურსს გადის.

კომპოზიტორი იტალიელ კომპოზიტორებთან ნინო როტასთან და ენიო მორიკონესთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო კინოკომპოზიტორად დასახელდა.

სუხიშვილებმა ბოდრუმში საერთაშორისო ფესტივალზე იცეკვეს

სუხიშვილების ანსამბლმა თურქეთის ქალაქ ბოდრუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

თურქეთის ოპერისა და ბალეტის თეატრმა რიგით მე-17 საერთაშორისო საბალეტო ფესტივალს უმასპინძლა, რომლის სტუმრებიც ქართველი მოცეკვავეები იყვნენ.

ქართველი მოცეკვავეები მაყურებლის წინაშე განსაკუთრებული პროგრამით წარდგნენ და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს, რაც მქუხარე აპლოდისმენტებმა და ხანგრძლივმა ოვაციებმა დაადასტურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 აგვისტოსთვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებული გაქვთ. არ არის გამორიცხული გრანდიოზული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. ჩხუბი და საქმის გარჩევა ურთიერთობის სრულ გაწყვეტას გამოიწვევს. **კურო** – გიძლიერდებათ ინტერესი მისტიკის, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურისადმი. იყავით ინიციატივიანი და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **ტყუპები** – დღეს მოსალოდნელია უსიამოვნო სიურპრიზი, ავადმყოფობის გამწვავება. ფრთხილად იყავით საჭესთან ჯდომისას. ახლო ნათესავთან კონფლიქტი გელით. **კირჩხიბი** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან. **ლომი** – რომანტიკული დღეა. მამაკაცებს ახალი სასიყვარულო თავგადასავალი ცხოვრებას გაუხალისებს. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს ნათესავებთან. **ქალწული** – ფინანსური ზარალის დიდი ალბათობაა. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. ნუ დაწვრილმანდებით. **სასწორი** – დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მძღოლებმა, ვინაიდან მოსალოდნელია ავარიები. დღის მეორე ნახევარში ფორტუნა გიღიმით. **ღრიანკალი** – ფხიზლად იყავით და ნურანაირ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. ერიდეთ ნერვულ და შარიან ადამიანებს. **მშვილდოსანი** – დაძაბული დღეა. დიდი ხნის ნაცნობთან კონფლიქტია მოსალოდნელი. ქალებისთვის იღბლიანი პერიოდია. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – ძალზე კონფლიქტური დღეა, რის გამოც თავს ცუდად იგრძნობთ. ნერვებს არ აჰყვეთ და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **მერწყული** – თქვენი ცხოვრებისეული პრინციპები და იდეალები მტკიცედ დაიცავით. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა შემოქმედი ადამიანებისათვის. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **თევზები** – პასიური დღეა. არ ღირს ქალაქგარეთ გასვლა. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დროს ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

სტუმარი მასპინძელს გაოცებული ეკითხება:

– ვაიმე, ასეთი პატარა ბავშვი და უკვე გაზეთს კითხულობს?

– არა, რას ამბობთ, ჯერ სამი წლისაა, უბრალოდ, კროსვორდს ავსებს!

...

ხანშიშესული მამაკაცი ახალგაზრდას ეუბნება:

– არასოდეს ეცადო იმის გაგებას, რისი გაგებაც არ შეგიძლია!

– ვერ გავიგე?

– ჰოდა, არც ეცადო!

...

ზოოპარკში შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო, რა საშინელი მაიმუნია ამ გალიაში!

– მოიცა, შვილო, ეს ჯერ სალაროა!

...

ცოლი ქმარს ურეკავს:

– ალო, ძვირფასო, სად ხარ?

– ტყეში!

– და მანდ რას აკეთებ?

– ვნადირობ!

– და მერე, საყვარელო, ასე რატომ სუნთქავ?

– დათვი მომდევს, დათვი!..

...

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ვაიმე, უკვე ღამის ორი საათია და ჩემი ქმარი არ ჩანს, საყვარელი ხომ არ გაიჩინა?

– შე ქალო, რა მაშინვე ყველაზე უარესს ფიქრობ? იქნებ ავარიაში მოყვა და ან საავადმყოფოში, ან „მორგშია“.

...

გოგო ბიჭს ეკითხება:

– გიყვარვარ?

– ძალიან!

– ჩემ გამო თავს მოიკლავ?

– აკი სიყვარული უკვდავიაო?

...

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– რა არის, რას ჰგავხარ? პირდაუბანელი, თმებაჩეჩილი, ჭუჭყიანი ფრჩხილებით... მე რომ ასე მოვსულიყავი სკოლაში, რას იტყოდი?

– იმდენი ტაქტი კი მაქვს, რომ მაგის გულისთვის აყალმაყალი არ ამეტეხა!

...

აღშფოთებული მამაკაცი მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– მოვითხოვ, უკან წაიღოთ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები!

– ჩვენ უკან არაფერს ვიბრუნებთ, შემიძლია შეგიცვალოთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

სპილომ პლეიბოის მოდელს მკერდი გაუშიშვლა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ მერტლ-ბიჩში მდებარე საფარი-პარკში სპილო შეეცადა, ხორთუმით მოეძრო ბიკინი პლეიბოის მოდელისთვის და მკერდი გამოუჩინა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ფრანსია ჯეიმსი კამერის წინ სპილოს გვერდით პოზირებდა. კადრებში ჩანს, როგორ მიდის მოდელი ცხოველთან და ეფერება. ამ დროს 34 წლის სპილომ გოგონას ხორთუმით ბიუსტჰალტერი ჩამოაძრო.

ჯეიმსი ასეთ უხიფათო თავდასხმას იუმორით შეხვდა: მკერდზე ხელები აიფარა და სიცილით გაიქცა.

ქალს ვიწრო ფეხსაცმელმა კინაღამ ფეხები დააკარგვინა



ინგლისის დასავლეთ სუსექსის საგრაფოს დასახლება ბილინგსჰერტის მცხოვრებს სეფსისი მას შემდეგ დაემართა, რაც ფეხები ახალმა ფეხსაცმელებმა გადაუტყავა.

23 წლის მოდელმა ჯემა დაუნმა ერთ-ერთ ადგილობრივ მეორად მაღაზიაში ფეხსაცმელი შეიძინა. მან ის რამდენჯერმე ჩაიცვა, სანამ ერთხელ არ იგრძნო, რომ მისი თასმა ქუსლს უტყავებდა, ჯერ კორძები გაუჩნდა, რომელიც ძალიან აწუხებდა, შემდეგ კი ჩაულურჯდა.

– ერთხელ აუტანელი ტკივილისგან იატაკზე დავეცი, – განაცხადა გოგონამ.

მან გადაწყვიტა, საავადმყოფოსთვის მიემართა, სადაც ანტიბიოტიკები გამოუწერეს, თუმცა მისი მდგომარეობა უარესდებოდა და იძულებული გახდა, სხვა სამედიცინო დაწესებულებისთვის მიემართა. იქ მას სეფსისის საწყისი სტადია დაუდგინეს. დაუნის ექიმებმა უთხრეს, რომ დახმარებისთვის ოდნავ მოგვიანებით რომ მიემართა, ინფექციას, შესაძლოა, ფეხის ამპუტაცია გამოეწვია ან კიდევ უარესი, ლეტალური შედეგით დასრულებულიყო. გოგონამ საავადმყოფოში ორი დღე გაატარა, რის შემდეგაც სახლში განერეს.

ამ ყოველივეს გამო გოგონას მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე უარი თქმა მოუხდა და მხოლოდ თავისუფალ ფეხსაცმელებს ატარებს. ეს ასევე მის სამუშაოზეც აისახა. თუმცა დაუნი იმედს არ კარგავს, რომ უახლოეს მომავალში ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდება.

ცოლ-ქმარმა ჯეკპოტი მოხსნა და მდიდრულად ცხოვრება გადაწყვიტა

შოტლანდიის ქალაქ ტრანენტში ოჯახურმა წყვილმა ჯეკპოტი მოხსნა, ისინი ძვირფასი მანქანის შეძენასა და რესტორნებში დახარჯვას გეგმავენ.

50 წლის ალანმა და 48 წლის კლერ გრეებმა ლატარიაში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგეს. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი მრავალი ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობდა, ელექტრონული წერილის მიღებამ, რომელშიც მოგების თაობაზე იყო შეტყობინება, დააეჭვა და გადაწყვიტა ლატარიის გათამაშების წარმომადგენლებისთვის დაერეკა და მათგან მიეღო დადასტურება.

– მე და ჩემი ცოლი უბრალოდ ვერ ვიჯერებდით. მომხდარი დღემდე არარეალურად გვეჩვენება, – აღნიშნა მამაკაცმა.

წყვილის თქმით, ამ ახალმა ამბავმა მათი ნათესავები და ახლობლები შოკში ჩააგდო, თუმცა მათმა წარმატებამ ისინი გაახარა. ალანი და კლერი მოგებული ფულით დუბაიში მოგზაურობას, ახალი მანქანის შეძენას და ასევე რესტორნებში სტუმრობას გეგმავენ.

ზვიგენის მიერ დაკბენილი მყვინთავი მედდებმა გადაარჩინეს

ამერიკის ფლორიდის შტატში ზვიგენი თავს დაესხა მყვინთავს და დაკბინა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

40 წლის მყვინთავი თავის მეგობრებთან ერთად კუნძულ კი ბისკეინის მახლობლად ყვინთავდა. როდესაც მამაკაცს ზვიგენი თავს დაესხა, მისმა მეგობარმა დახმარებისთვის ხომალდზე მყოფებს მიმართა, რომელიც იმ დროს მათ ახლოს მიცურავდა. აღმოჩნდა, რომ გემში რამდენიმე მედიცინის თანამშრომელი იმყოფებოდა და სწორედ მათ გაუწიეს დახმარება დაშავებულს.

ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ადის ხომალდზე დასისხლიანებული მყვინთავი და მას ამაში იქვე მდგომი მამაკაცი ეხმარება. გემის კაპიტანი მაშინვე სასწრაფო დახმარების სამსახურს დაუკავშირდა. ხომალდზე მყოფმა მედდებმა ჭრილობები შეუხვიეს და სისხლდენის შესაჩერებლად ქამარი გადაუჭირეს. ამის შემდეგ დაშავებული ნაპირზე გადაიყვანეს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. ფრანგული არაყი; 6. ყუბანის კაზაკთა ჯარისკაცი მეფის რუსეთის დროს; 7. შუამარბი ფეხბურთში (მოძვ); 9. ძველფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 10. შუშა; 11. საჯიგველი (ცივი იარაღი); 13. ტროპიკული პალმა მოკლე ტანითა და გიგანტური ფოთლების ვარჯით; 15. თმის იმიტაცია; 17. მატყლის შემცვლელი ხელოვნური ბოჭკო; 18. იაპონელთა სამოსელი; 19. ყველაფრისადმი გულგრილობა; 20. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

შვეულად: 1. პატარა არია; 2. ქრისტეს გამცემი; 3. ჟილეტისქვეშა გახამებული გულისპირი; 4. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი მბზინავი ზედაპირით; 5. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 8. ველური ცხვარი; 9. მოძღვრება მღვდელმსახურების წესების შესახებ; 12. სურათი ზღვის ხედით; 14. სახელმწიფო ევროპაში; 16. ... გურგულია.

შეადგინა ოლივერ კოხიამ